განმარტებითი ბარათი

"საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: 2010 წლის 15 ოქტომბრის საქართველოს კონსტიტუციური კანონით, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ, იმპერატიულად განისაზღვრა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესი, რომლის თანახმად მსგავსი შემთხვევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან. მოცემული კანონპროექტით შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი საქართველოს კონსტიტუციასთან ორგანული კანონის ძველი ვერსია. "საზოგადოებრივი საჭიროებისთვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონში არასრულყოფილად არის მოცემული ორგანული კანონის გავრცელების არეალი, იგი არ გვაძლევს სრული ინტერპრეტაციის საშუალებას, რათა წარმოჩენილი იყოს საჯარო-სტრატეგიული ინტერესი, რაც ფაქტობრივად იდენტურს ხდის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონთან. შესაბამისად კანონპროექტში წინა პლანზე მოცემულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი უსაფრთხოების რისკის მარეგულირებელი ცვლილებანი;

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია, სამართლიანი ანაზღაურების პრინციპის დამკვიდრება, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტული ქმედების ფაქტობრივი გარემოებიდან, რაც უზრუნველყოფს ერთის მხრივ პირთა მიმართ ზიანის დადგომის საფრთხის აცილების შესაძლებლობას და მეორეს მხრივ უსაფუძვლო გამდიდრების დადგომის შესაძლებლობას.

შესაბამისად კანონპროექტის მეორე მუხლის ცვლილებები ერთგვარად შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან და ამკვიდრებს კანონიერი და სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის განსაკუთრებული ნაწილია ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საომარი, საგანგებო ან ეკოლოგიური კატასტროფის დადგომის ან ასეთი საფრთხის დადგომისას საჯარო ინტერესის ეფექტური მართვა, გადაწყვეტილებების დროული მიღება და აღსრულების არეალის დაზუსტება; კანონპროექტითვე დგინდება საკუთრების ობიექტის საფასურის განსაზღვრის წესი წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პრინციპიდან გამომდინარე, ნაცვლად დღეს მოქმედი ნორმისა, რომლის თანახმად საკუთრების ობიექტის შეფასება ხდება საბაზრო ფასის მიხედვით;

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხაჯვით ნაწილზე;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის სახეს;

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს;

ე) კანონპროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრი კობა დავითაშვილი;

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

პარლამენტის წევრი კობა დავითაშვილი.